1984/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 10

1984

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (490) ოქტომბერი 1984 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

337. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

### განყოფილება მეორე

338. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

339 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ა. ზუხბაია-სათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

340. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობებისა და მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

341. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. მ. ავალიანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

342. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ი. ლოლაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

343. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ,

344. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სვერდლოვსკის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

345. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ბ. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

346. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ი. შირინკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

347. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. გ. ჭუმბურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

348. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

349. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. ესართიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

350. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობებისა და მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

351. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. შ. გუბაზის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

352. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ხ. ს. ბლაჟბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

353. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. დ. ინალ-იფას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

354. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. ივანიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

355. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ი. კერვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

356. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

## განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 337 საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 21 ნოემბრის დადგენილება „ეკლესიების გახსნისა და რელიგიურ საზოგადოებათა რეგისტრაციის წესის შესახებ“ (საქ. სსრ მთ. დადგ. კრ., 1924 წ., № 6, მუხ. 39).

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1951 წ., № 2, მუხ. 10).

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, 1951 წ., № 6, მუხ. 4).

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ ცალკეულ საარჩევნო ოლქებში, გასული დეპუტატების ნაცვლად“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 3, მუხ. 51).

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 3, მუხ. 52).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 31 ოქტომბერი.
№ 2739—X

ს. ქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 338 „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდისათვის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი"**:

**ბესტაევს** ყაზბეგ ესტატეს ძეს — ცხინვალის რაიონის დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირს, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელს.

**გორგაძეს** ანზორ გაბრიელის ძეს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" ამწყობი საამქროს ზეინკალს, პოლიტინფორმატორს.

**დვალიშვილს** ალექსანდრე ვლადიმერის ძეს — გარდაბნის რაიონულ გაზეთ „სამგორის" რედაქტორს, კონსულტანტს.

**დოლიძეს** ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს — ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატს, პოლიტინფორმატორს.

**კაპანაძეს** გიორგი ნიკოლოზის ძეს — ქ. თბილისის სალოკომოტივო დეპოსთან არსებული საზომი ხელსაწყოების საგზაო სახელოსნოს ოსტატს, პროპაგანდისტს.

**კიკნაველიძეს** გრიგოლ ერმილეს ძეს — ქ. რუსთავის № 61 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ისტორიის მასწავლებელს, პროპაგანდისტს.

**კურტანიძეს** ემელიანე სევერიანეს ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის უფროს მვალცავს, აგიტატორს.

**მარშანიას** ნიურა რაფოს ასულს — ტყვარჩელის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მეაპარატეს, აგიტატორს.

**პანჩოიანს** სეროპ მიხეილის ძეს — ახალციხის რაიონის წყალთბილას საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტს.

**სარიშვილს** ლიზა სევასტის ასულს — მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტს.

**სეხნიაშვილს** ზაურ გიორგის ძეს — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მღარავთა ბრიგადირს, პროპაგანდისტს.

**სირაძეს** შოთა სერაპიონის ძეს — აჭარის ასსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის რეფერენტს.

**სიჭინავას** შოთა ილიას ძეს — ზუგდიდის ჩაის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მთავარ ეკონომისტს, პროპაგანდისტს.

**ფრუიძეს** ბორის თეოფანეს ძეს — საზოგადოება „ცოდნის" ქუთაისის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელს.

**ქონიაძეს** ზია ისკენდერის ძეს — წულოს რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლუატაციის საწარმოს დირექტორს, ეკონომიკური განათლების სკოლის პროპაგანდისტს.

**ციციაშვილს** აბონ იაკობის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შტატგარეშე ლექტორს.

**ცხადაიას** ალექსანდრე ანდრის ძეს — ხობის რაიონის სოფ. ქვალონის № 2 საშუალო სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს.

**ჯიქურაშვილს** ვარდენ ბეჟანის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის № 4 ტრესტის მმართველის მოადგილეს, პროპაგანდისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1984 წლის 1 ოქტომბერი.
№ 2705—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 339 ამხ. ვ. ა. ზუხბაიასათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისათვის საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის კათედრის დოცენტს ამხ. ვალერიან აქვსენტის ძე **ზუხბაიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1984 წლის 3 ოქტომბერი.
№ 2708—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 340 თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობებისა და მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის 125 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

**კლიჯიანს** სოსო ნიკოლოზის ძეს — მსახიობს.
**უამკოჩიანს** ასმიკ სურენის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

**გრიგორიანს** მიხეილ კარაპეტის ძეს — რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

**ადილხანოვს** არშაკ ამბარცუმის ძეს — მსახიობს.
**ოჰანესიანს** რუბენ მკრტიჩის ძეს — მსახიობს.
**ჯანიკიანს** სედა მიხეილის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

**ტერ-მინასიანს** შამილ სურენის ძეს — მთავარ მხატვარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

**კარახანიანს** ჯულიეტა ლევის ასულს — ეკონომისტს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**აკოფიანს** ანუშევან სურენის ძეს — დეკორატორს.
**ბაღდასარიანს** კოსა არზუმანის ძეს — განათების უფროს მხატვარს.
**როსტიაშვილს** როზა ტიგრანის ასულს — რეჟისორის თანაშემწეს.
**სარქისოვას** ლუსია მნაცაკანის ასულს — მემოდელეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 16 ოქტომბერი.

№ 2718—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**341** **ამხ. ნ. მ. ავალიანისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

საგამომცემლო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გამომცემლობა „მეცნიერების““ ბიოლოგიური და სამედიცინო ლიტერატურის რედაქციის განყოფილების გამგეს ამხ. ნუნუ მიხეილის ასულ ავალიანს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 26 ოქტომბერი.
№ 2727—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**342** **ამხ. ო. ი. ლოლაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში წვლილისათვის, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. ოთარ ილიას ძე **ლოლაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 29 ოქტომბერი.
№ 2738—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**343** **რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ**

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ბერიძეს** ანდრია დავითის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მთავარ ინჟინერს.

**ბოჭოიძეს** დავით შალვას ძეს — ქ. რუსთავის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ განყოფილების გამგეს.

**ვოგიჩაიშვილს** შალვა სერგოს ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემების დაპროექტებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების გამგეს.

**გოგოძეს** გივი სილვესტრის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანის“ სასურსათო მანქანათმშენებლობის სათავო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ ინჟინერს.

**გრძელიძეს** გივი იროდის ძეს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს.

**დევდარიანს** თინა გიორგის ასულს — საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანის“ ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის უფროს ოსტატს.

**ლოლიძეს** კარლო თომას ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქკვებმანქანის“ ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორს.

**კაჭარავას** ნოდარ შალვას ძეს — საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო „სახსტანდარტის“ განყოფილების უფროსს.

**კევლიშვილს** ბიძინა გიორგის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ავტოქარხნის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს.

**კერესელიძეს** ანგია სანდროს ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

**კოპალეიშვილს** ირაკლი დავითის ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის განყოფილების გამგის მოადგილეს.

**კურჩიანს** ავეტის ვაგრამის ძეს — ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების გამგეს.

**მენაბდეს** ოთარ ბაგრატის ძეს — ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს.

**პავერმანს** სერგი ვლადიმერის ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

**შველიძეს** პავლე ტრიფონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქკვებმრეწვის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო „ხორცრძემანქანის“ უფროსის მოადგილეს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



**ყურაშვილს** ეთერ იასონის ასულს — რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტის“ ლაბორატორიის უფროსს.

**ჩიგოგიძეს** ოთარ ვალერიანის ძეს — თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ დირექტორს.

**ჩხაიძეს** ოთარ ილიას ძეს — თბილისის ინსტრუმენტების ქარხნის მთავარ ინჟინერს.

**ცაგარეიშვილს** რუდოლფ ბესარიონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ამიერკავკასსპეცავტომატიკის“ თბილისის ექსპერიმენტული ქარხანა „სპეცავტომატიკის“ დირექტორს.

**ჯანაშვილს** დიმიტრი მიხეილის ძეს — წნორის მექანიკური ქარხნის დირექტორს.

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**გოგოლაძეს** ბონდო ილიას ძეს — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეს.

**დემეტრაშვილს** ევგენი ვასილის ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ მართული გამომთვლელი მანქანების ქარხნის უფროს ოსტატს.

**ვაკულინს** ივანე ლუკიანეს ძეს — რუსთავის ამწესაშენებელი ქარხნის ელექტროშემდუღებელს.

**კულუმბეგოვს** ზაურ გრიგოლის ძეს—ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ უფროს ინჟინერს.

**მაგრაქველიძეს** ნოე ბაგრატის ძეს — საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სატვიფრი საამქროს ამომჭრელს.

**ნათელაძეს** ბიჭიკო გედევანის ძეს—ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატს.

**რომანოვს** ალექსანდრე იაკობის ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს“ ხარატს.

**როსტიაშვილს** ვასილ ალექსის ძეს — თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის უფროს ოსტატს.

**სიხარულიძეს** ედუარდ ნოეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ზეინკალ-ამწყობს.

**სმირნოვას** ზინაიდა ივანეს ასულს — ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშას.

**ქრისტესიაშვილს** ივანე ნიკოლოზის ძეს — მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ზეინკალს.

**ჩიკაშუას** ლევან სიმონის ძეს — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის გამმართველს.

**ჭყოიძეს** ავთანდილ ტერენტის ძეს — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეს.

**ხუციშვილს** ედუარდ ალექსანდრეს ძეს — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 31 ოქტომბერი.
№ 2740—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 344 სვერდლოვსკის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და 1984 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **სვერდლოვსკის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 3 ოქტომბერი.
№ 2710—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 345 ამხ. მ. ბ. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ავტომატიზებული სისტემის განყოფილების უფროსი ამხ. მიხეილ ბესარიონის ძე **სარჯველაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 3 ოქტომბერი.
№ 2709—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 346 ამხ. ა. ი. შირინკინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეომარ-ამიერკავკასიელთა პოლიტიკური აღზრდის სრულყოფისათვის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად დიდი ორგანიზატორული მუშაობისათვის, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მშრომელთა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის გენერალ-ლეიტენანტი ალექსი ივანეს ძე **შირინკინი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 5 ოქტომბერი.
№ 2710ა—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 347 ამხ. შ. გ. ჭუმბურიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ამხ. შალვა გიორგის ძე **ჭუმბურიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 8 ოქტომბერი.
№ 2711—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 348 ამხ. ტ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით კასპის რაიონული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, კასპის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ტრისტან ილიას ძე **ხუციშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1984 წლის 8 ოქტომბერი.

№ 2712—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 349 ამხ. გ. ს. ესართიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლეწურწუმის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გიორგი სიმონის ძე **ესართია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1984 წლის 11 ოქტომბერი.

№ 2713—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 350 თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მსახიობებისა და მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის 125 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**აბრამიანი** ვართანუშ სენეკარიმის ასული — მსახიობი.

**აბრამიანი** სიმონ პეტრეს ძე — სადადგმო ნაწილის გამგე.

აკოფიანი ვენერა იოსების ასული — მსახიობი.
ბუგულიანი ბორის სოლომონის ძე — მსახიობი.
ეგიაზაროვი სერგო ტიგრანის ძე — მსახიობი.
კარაჯიანი არუსიაკ მელიქის ასული — მსახიობი.
კარაპეტიანი ჟირაირ ვაგენაკის ძე — მსახიობი.
კოჩარიანი არამ ამბაკუმის ძე — მსახიობი.
ოგანოვა-ხაჩატუროვა ელეონორა სერგოს ასული — მსახიობი.
პაპუკოვა მანია ზაქარიას ასული — რეჟისორის თანაშემწე.
სტეპანიანი ემა მელიქის ასული — მსახიობი.
ტატარიანი იოსებ იოსების ძე — მსახიობი.
ტერ-გევორქიანი ლენა მკრტიჩის ასული — მსახიობი.
შეკოიანი სერიკ იაკობის ასული — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 16 ოქტომბერი.
№ 2717—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 351 ამხ. ჯ. შ. გუბაზის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საფინანსო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ჯანსუხ შატუგის ძე **გუბაზი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 16 ოქტომბერი.
№ 2716—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 352 ამხ. ხ. ს. ბლაუბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების

სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ლიტერატურისა და ფოლკლორის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. ხუხუტი სოლომონის ძე **ბღაჟბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 22 ოქტომბერი.
№ 2723—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 353 ამხ. შ. დ. ინალ-იფას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ამხ. შალვა დენისის ძე **ინალ-იფა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 22 ოქტომბერი.
№ 2724—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 354 ამხ. თ. ვ. ივანიცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის ა. ი. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის გეოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ვახტანგის ძე **ივანიცკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 26 ოქტომბერი.
№ 2728—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 355 ამხ. ზ. ი. კერვალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ზურაბ იასონის ძე **კერვალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1984 წლის 30 ოქტომბერი.
№ 2742—X

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 356 რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოთა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის დარგის განვითარებაში დიდი წვლილისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბაგდინოვი** კარლო არტაშეს ძე — თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი.

**ბათიაშვილი** სიმონ მიხეილის ძე — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის სამმართველოს უფროსი.

**ბეჟუაშვილი** გურამ ვასილის ძე — ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის" ხარატი.

**გოგოლაძე** გურამ არჩილის ძე — საწარმოო გაერთიანება „ელექტრო-აპარატის" მწნეხელი.

**გოჩალეიშვილი** შოთა იაკობის ძე — შორაპნის ქარხანა „ელექტროელე-მენტის" ზეინკალ-მშტამპავი.

**ვალიევი** სოსლან ვლადიმერის ძე — ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის" ელექტრიკოსი.

**კულუმბეგაშვილი** რომან სიმონის ძე — სარემონტო-სამშენებლო სამ-მართველო „საქელექტრომონტაჟრემმშენის" მებეტონე.

**ლურსმანაშვილი** ჯონდო შალვას ძე — თბილისის ფოლადთუჯსასხმელი ქარხნის მეფოლადე.

**მარგველაშვილი** თემურ მამონტის ძე — გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის ელექტროზეინკალი.

**ნაცვლიშვილი** ნოვრიზ ზაქარიას ძე — საქართველოს რესპუბლიკური სამ-მართველო „სახსტანდარტის" განყოფილების უფროსი.

**ოვსიანიკოვი** ვასილ სტეფანეს ძე — საწარმოო გაერთიანება „ელექტრო-აპარატის" ზეინკალ-მეინსტრუმენტე.

**ოყროშიძე** ანზორ სიმონის ძე — საწარმოო გაერთიანება „ამიერკავკას-სპეცავტომატიკის" ელექტრომემონტაჟე.

**რევია** ნოდარ შალვას ძე — საწარმოო გაერთიანება „ამიერკავკასსპეც-ავტომატიკის" ელექტრომემონტაჟე.

**სანიკიძე** ჯუმბერ პეტრეს ძე — საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებ-ლის" შემომჭრელი.

**ქაფიანიძე** ჯემალ გიგოს ძე — თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" მთავა-რი ტექნოლოგის მოადგილე.

**წულაძე** გიორგი მიხეილის ძე — თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერ-თიანება „ანალიზხელსაწყოს" ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო „პროექტხელსაწყოს" მთავარი ინჟინერი.

**ხაბურძანია** დემურ ვალერიანის ძე — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ზეინკალ-ამწყობი.

**ხიზანეიშვილი** ანდრია ილიას ძე — ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხ-ნის უფროსი ოსტატი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1984 წლის 31 ოქტომბერი.

№ 2741—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესახებ

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც 1984 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინა სამტრედიის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ა. ფრანგიშვილის ინფორმაცია სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის ქ. სამტრედიის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მუშაობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ საქალაქო საბჭო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 13 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად საგრძნობლად აუმჯობესებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობას.

საქალაქო საბჭო ყურადღებას აქცევს ორგანიზატორული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, აღწევს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობას, მის ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შესაძლებლობების კოოპერირებას.

საბჭოს სესიებზე, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომის სხდომებზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხები, როგორც წესი, განიხილება დეპუტატების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კომპეტენტური სპეციალისტებისა და აქტივის ფართო მონაწილეობით.

გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმები, ამავე პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა მგზავრთა გადაყვანის, ტვირთზიდვის, ტვირთბრუნვის გეგმები.

ქალაქის მშრომელებმა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად დამატებით ივალდებულეს შრომის ნაყოფიერების ამაღლება ორი პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება ერთი პროცენტით.

მნიშვნელოვანი ძვრებია სოციალურ-კულტურულ მშენებლობაშიც. უკანასკნელ პერიოდში ქალაქში აშენდა შვიდი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ხუთი ბიბლიოთეკა, ბავშვთა სამხატვრო სკოლა, სასტუმრო.

ამასთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ სამტრედიის საქალაქო საბჭოს საქმიანობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად ჯერ კიდევ არასაკმარისია.

ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმების შეუსრულებლობის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევებს. ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინის დარღვევებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლა. რიგ საწარმოებში შეინიშნება კადრების დენადობა.

ასევე ზოგიერთი საწარმო და დაწესებულება არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ვაგონბრუნვის დასაჩქარებლად. ძირეულ სრულყოფას საჭიროებს კომუნალური სამსახურების, საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საქმიანობა, ნელი ტემპით მიმდინარეობს წყალსადენის ქსელისა და ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა. შეფერხებებია მოსახლეობის ელექტრო და წყალმომარაგებაში. მიმდინარე წლის 9 თვეში საქალაქო საბჭოში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების 76,4 პროცენტი სწორედ კომუნალური მომსახურების საკითხებს შეეხება.

სერიოზული ნაკლოვანებებია ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში. სუსტია სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხარვეზებია საავტომობილო ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურებაში.

გაუმჯობესებას მოითხოვს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საქმე; ადგილი აქვს პენსიების დაგვიანებით დანიშვნას, არასაკმარისია ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის ზრუნვა ვეტერანების შრომითი დასაქმებისათვის. ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე სატელეფონო და რადიოქსელის მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* *
*

რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში არასრულწლოვანთა შრომის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახსენა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ამხ. ვ. შარაშენიძემ. აღინიშნა, რომ კანონიერების უმკაცრესი დაცვის საჭიროების შესახებ პარტიული და საბჭოთა ორგანოების არაერთგზის მითითებათა მიუხედავად კვლავ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

მთელი რიგი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და მათთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები საკმარისად არ ახორციელებენ ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას არასრულწლოვანთა შრომის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისადმი კონტროლისათვის, მკაცრ პასუხს არ სთხოვენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევენ არასრულწლოვანთა სამუშაო დღის რეჟიმს, სამუშაოდ მიღებისა და დათხოვნის, შრომის ანაზღაურებისა და დასვენების დადგენილ წესებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ინფორმაცია და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ ინფორმაციაში მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი და მუდმივი კონტროლი დააწესონ ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი. აამაღლონ შრომითი კოლექტივების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა შრომის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელად შესრულებისათვის; გააძლიერონ კონტროლი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობისადმი და გაუწიონ მათ მეტი პრაქტიკული დახმარება არასრულწლოვანთა შრომის უფლების დაცვის დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებაში.

სათანადო რჩევა მიეცათ საქართველოს პროფსაბჭოს და რესპუბლიკის პროკურატურას, ხოლო სახალხო დეპუტატთა სოხუმისა და ზუგდიდის საქალაქო, ახალქალაქის, გარდაბნის, გურჯაანის, ზუგდიდის, სამტრედიის, ჩხოროწყუს, ქ. თბილისის საქარხნო, კიროვის, ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ერთი თვის ვადაში აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის ინფორმაციაში მითითებულ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ.

* *
*

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1984 წლის მესამე კვარტალში შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი განხილვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 26 ივლისის დადგენილების დამატების თაობაზე, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

*

* *

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიამ 1984 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად მოსახლეობისათვის საქონლის გამოსაშვებად ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლისათვის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუშაობის თაობაზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ალავიძემ.

*

* *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლების და კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის რესპუბლიკის შემოქმედებითი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის თაობაზე.

მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

კომისიების მუშაობა შეაჯამეს მათმა თავმჯდომარეებმა — დეპუტატებმა ნ. ლაღიძემ და ნ. ვასაძემ.

## ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები მარტუნი, ხორენია და ხოსპიო, ხოლო კარტიკამის სასოფლო საბჭოს — სოფელი ბავრა და შეიქმნა ხოსპიოს სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ხოსპიოში.